პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდითო!

ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკურ კულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по делам физической культуры и спорта при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского Совета профсоюзов

გამოცემის მე-8 წელი

№ 8 (503) კვირა, 27 იანვარი, 1952 წ. ფასი 30 კაპ.

რესპუბლიკის სპორტული კალენდარი

ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში ქვეყნდება რესპუბლიკურ სპორტულ-მასობრივ ღონისძიებათა 1952 წლის კალენდარული გეგმა. ეს დოკუმენტი ნათლად ასახავს იმ დიდ მიღწევებს, რომლებიც ჰოიპოვეს საქართველოს ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა ფიზიკური კულტურის მასობრივობისა და სპორტული ოსტატობის დონის ამაღლებისათვის ბრძოლაში.

რესპუბლიკის სპორტული კალენდარი განსაზღვრავს საქართველოს ფიზკულტურული ორგანიზაციების შემდგომი მუშაობის შინაარსს, მოუწოდებს მათ უფრო გააძლიერონ ბრძოლა საკავშირო კ. ბ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1948 წლის 27 დეკემბრის ისტორიული დადგენილების ცხოვრებაში განუხრელად გატარებისათვის.

თავის გამოხატულებას პოულობს ახალ სპორტულ კალენდარში საბჭოთა ფიზკულტურული მოძრაობის დამახასათებელი თვისება — სპორტის მასობრივობა. თვითეული სპორტული ღონისძიება იწყება ძირეულ ფიზკულტურულ კოლექტივში, იგი შემდეგ გრძელდება სპორტულ საზოგადოებაში, რაიონში, ოლქში და მთავრდება რესპუბლიკის პირველობის გათამაშებით.

ნებაყოფლობითი სასოფლო სპორტული საზოგადოება „კოლმეურნის“ ჩამოყალიბებამ საქართველოში ხელი შეუწყო სოფლად მასობრივი ფიზკულტურული მოძრაობის შემდგომ აღმავლობას. საკოლმეურნეო ფიზკულტურულ კოლექტივებში ფართოდ ინერგება მძლეოსნობა, ველოსპორტი, ფეხბურთი, ჭადრაკი და შაში, ქართული ჭიდაობა, სიმძიმეების აწევა და სპორტის სხვა სახეები. სწორედ ამიტომ მიმდინარე წლის რესპუბლიკურ კალენდარში დიდი ადგილი აქვს დათმობილი სოფლის ფიზკულტურელთა შეჯიბრებებს სპორტის წამყვან სახეებში. ზოგიერთი ამ შეჯიბრებებიდან წელს პირველად ტარდება. მაგალითად, სპორტსაზოგადოება „კოლმეურნის“ სპორტსმენები წელს პირველად გამოცდიან თავიანთ ძალებს „დინამოს“ სპორტსმენებთან შეჯიბრებაში ქართულ ჭიდაობაში.

საკმაოდ დიდი ადგილი აქვს დათმობილი კალენდარში მოზარდთა სპორტულ შეჯიბრებებს. მოზარდთათვის კალენდრით გათვალისწინებული სპორტულ-მასობრივი ღონისძიებები ხელს შეუწყობს ახალგაზრდა ნიჭიერი სპორტსმენების გამოვლინებას, უძლიერესთა რიგებში მათს დაწინაურებას.

წლევანდელ კალენდარში თავის გამოხატულებას პოულობს სრულწლიური სასწავლო-სპორტული მუშაობის პრინციპი, რაც სპორტსმენთა ოსტატობის ამაღლებას, ფიზკულტურული კოლექტივებისა და სპორტული საზოგადოებების სექციების ორგანიზაციული განმტკიცების უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენს. მთელი წლის მანძილზე რეგულარულად გაიმართება მძლეოსნების, მოკრივეების, მოკიდაველების, კალათბურთელების, ფრენბურთელების და სხვ. რესპუბლიკური შეჯიბრებები.

წინა წლებთან შედარებით წლევანდელ კალენდარში გაცილებით მეტი შეჯიბრებებია დაგეგმილი მძლეოსნათათვის. მათთვის გათვალისწინებული სპორტულ-მასობრივი ღონისძიებები დიდ სამსახურს გაუწევენ ფიზკულტურულ ორგანიზაციებს იმ ნაკლოვანებების აღმოფხვრაში, რაც ჯერ კიდევ იგრძნობა სპორტის ამ წამყვანი სახის განვითარების მხრივ რესპუბლიკაში.

1952 წლის რესპუბლიკურ სპორტულ-მასობრივ ღონისძიებათა კალენდარული გეგმის წარმატებით განხორციელება ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორი ორგანიზებულობით, მონდომებით მოკიდებენ ხელს მის შესრულებას ფიზკულტურის კომიტეტები და სპორტულ საზოგადოებათა საბჭოები, თუ რამდენად ოპერატიულად უხელმძღვანელებენ ისინი შეჯიბრებების მოწყობა-ჩატარებას.

ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა აქედანვე უნდა იზრუნონ თვითეული შეჯიბრების გულდასმით მომზადებისათვის, მათი ჩატარების ადგილისა და მსაჯთა კოლეგიების შემადგენლობათა დროულად შერჩევისათვის.

არ უნდა დავიწყოთ, რომ ორგანიზებულად, კულტურულად მოწყობილი შეჯიბრება ფიზკულტურის და სპორტის მძლავრი პროპაგანდის ერთ-ერთი ქმედითი საშუალებაა, რომ იგი ხელს უწყობს ფიზკულტურასა და სპორტში ახალი მასების შემდგომ ჩაბმას. ამიტომ ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა პრესის, რადიოს, აფიშების, პლაკატების საშუალებით დროულად უნდა აუწყონ მშრომელებს ამა თუ იმ შეჯიბრების ჩატარების დრო და ადგილი, წესრიგში მოიყვანონ და ლამაზად გაფორმონ ასპარეზობათა ადგილები, სანმუშოდ მოემსახურონ მაყურებლებს.

ფიზკულტურის კომიტეტებმა, ნებაყოფლობით სპორტსაზოგადოებათა საბჭოებმა, მთელმა ფიზკულტურულმა აქტივმა ყველა ზომა უნდა იხმაროს იმისათვის, რომ მაღალ დონეზე ჩატარდეს 1952 წლის სპორტული კალენდრით გათვალისწინებული ყოველი შეჯიბრება. ეს შეჯიბრებები ფართოდ უნდა იქნეს გამოყენებული ფიზიკურ კულტურაში მშრომელთა ახალი ფენების ჩაბმისათვის, სპორტსმენთა მიერ თანრიგების ამაღლებისათვის, სპორტის ოსტატთა რიგების ზრდისათვის, ახალი რეკორდების დამყარებისათვის.

კოლმეურნე მეთხილამურეთა პირველობა

ბაკურიანი, 26 იანვარი. **(ჩვენი სპეც. კორ.).** დღეს აქ დაიწყო საქართველოს ნებაყოფლობით სასოფლო სპორტსაზოგადოება „კოლმეურნის“ რესპუბლიკური პირველობა სათხილამურო სპორტში.

პირველობაში მონაწილეობენ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ახალქალაქის, ზემო სვანეთის, ქვემო სვანეთის, ცაგერის, თეთრი წყაროს, ბოგდანოვკის რაიონების და ბაკურიანის კოლმეურნე მეთხილამურეები.

შეჯიბრების პროგრამაშია ამანათრბენები ვაჟთათვის 4×5 კმ. და ქალთათვის 3×3 კმ., სლალომი, თხილამურებით რბენა სხვადასხვა დისტანციაზე.

შეჯიბრება გაგრძელდება სამ დღეს.

რ. ჟუკოვას შესანიშნავი წარმატება

დამთავრდა სსრ კავშირის პირველობა ციგურებით ჩქარმსნულ რბენაში

მაღალი შედეგებით აღნიშნავენ მიმდინარე სპორტულ სეზონს საბჭოთა კავშირის უძლიერესი მეციგურეები. ამას წინათ ყაზახეთის სსრ მინისტრთა საბჭოს ჯილდოზე გამართულ ასპარეზობაში მათ გაუმჯობესეს 8 საკავშირო რეკორდი, რომელთაგან 3 მსოფლიო რეკორდს აღემატება.

არანაკლები ინტერესით და დაძაბულობით მიმდინარეობდა საბჭოთა კავშირის პირველობის გათამაშება ციგურებით ჩქარსნულ რბენაში, რომელიც რამდენიმე დღის წინ დამთავრდა. ვაჟთა შორის, როგორც უკვე ვუწყებოდით, გამარჯვება მოიპოვა გორკის სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტმა ვ. სახაროვმა.

მეციგურე ქალთა განსაკუთრებით ძლიერი შემადგენლობა შეუპოვარი ბრძოლისა და მაღალი შედეგების მოპოვების უტყუარ იმედს იძლეოდა. ეს ასეც მოხდა.

500 მეტრზე რბენაში საუკეთესო შედეგი უჩვენა გორკის უცხო ენათა ინსტიტუტის სტუდენტმა ნ. დონჩენკომ — 47,7. მან წელს პირველად მოიპოვა საბჭოთა კავშირის ჩემპიონის სატიტული. მეორე ადგილზე გამოვიდა მ. ვოლოვოვა (47,8), მესამე და მეოთხე ადგილები გაიყვეს ო. აკიფიევამ და ლ. სელიხოვამ (48,3).

3.000 მეტრზე რბენაში საბჭოთა კავშირის და მსოფლიოს უძლიერეს მეციგურე რ. ჟუკოვასთან წყვილში იყო ზ. ხოლშჩევნიკოვა. ჟუკოვამ რბენა დაიწყო ენერგიულად, მაღალ ტემპში. მალე გამოარკვა, რომ ხოლშჩევნიკოვას არ შეუძლია გაუძლოს მოწინააღმდეგის ტემპს. ჟუკოვა არაჩვეულებრივად ძლიერად გადის დისტანციას და ამთავრებს მას შედეგით 5:26,4. მეორე ადგილზეა ტ. კარელინა (5:33,2), მესამეზე ო. აკიფიევა (5:34,2). პირველი დღის შედეგებს მიხედვით 103 ქულით ლიდერობდა რ. ჟუკოვა. მეორე ადგილზე მყოფი აკიფიევა მას ჩამორჩებოდა მთელი ქულით. მესამე ადგილზე იყო სელიხოვა — 104,960.

არაჩვეულებრივი წარმატება ხვდა წილად ჟუკოვას შეჯიბრების მეორე დღეს. მან 1.000 მ. დისტანცია დაფარა 1:36,6, რითაც საკავშირო და მსოფლიო რეკორდი გაუმჯობესა 0,2 წამით. მეორე ადგილზე გამოვიდა ავდონინა (1:38,1), მესამეზე — ტ. კარელინა (1:38,5).

5.000 მეტრზე რბენაში პირველობა კვლავ ჟუკოვას ხვდა. მისი შედეგი — 9:34,5 ვერცერთმა მეციგურემ ვერ გაუმჯობესა.

ამრიგად, ჟუკოვამ მოიგო რა საბჭოთა კავშირის ჩემპიონის სამი მედალი, მოიპოვა საბჭოთა კავშირის 1952 წლის აბსოლუტური ჩემპიონის სამეფო წოდება. მეორე ადგილზე გამოვიდა მ. ვოლოვოვა (47,8), მესამე და მეოთხე ადგილები გაიყვეს ო. აკიფიევამ და ლ. სელიხოვამ (48,3).

3.000 მეტრზე რბენაში საბჭოთა კავშირის და მსოფლიოს უძლიერეს მეციგურე რ. ჟუკოვასთან წყვილში იყო ზ. ხოლშჩევნიკოვა. ჟუკოვამ რბენა დაიწყო ენერგიულად, მაღალ ტემპში. მალე გამოარკვა, რომ ხოლშჩევნიკოვას არ შეუძლია გაუძლოს მოწინააღმდეგის ტემპს. ჟუკოვა არაჩვეულებრივად ძლიერად გადის დისტანციას და ამთავრებს მას შედეგით 5:26,4. მეორე ადგილზეა ტ. კარელინა (5:33,2), მესამეზე ო. აკიფიევა (5:34,2). პირველი დღის შედეგებს მიხედვით 103 ქულით ლიდერობდა რ. ჟუკოვა. მეორე ადგილზე მყოფი აკიფიევა მას ჩამორჩებოდა მთელი ქულით. მესამე ადგილზე იყო სელიხოვა — 104,960.

არაჩვეულებრივი წარმატება ხვდა წილად ჟუკოვას შეჯიბრების მეორე დღეს. მან 1.000 მ. დისტანცია დაფარა 1:36,6, რითაც საკავშირო და მსოფლიო რეკორდი გაუმჯობესა 0,2 წამით. მეორე ადგილზე გამოვიდა ავდონინა (1:38,1), მესამეზე — ტ. კარელინა (1:38,5).

5.000 მეტრზე რბენაში პირველობა კვლავ ჟუკოვას ხვდა. მისი შედეგი — 9:34,5 ვერცერთმა მეციგურემ ვერ გაუმჯობესა.

ამრიგად, ჟუკოვამ მოიგო რა საბჭოთა კავშირის ჩემპიონის სამი მედალი, მოიპოვა საბჭოთა კავშირის 1952 წლის აბსოლუტური ჩემპიონის სამეფო წოდება. მისი შედეგი კლასიკურ მრავალჭიდში (208,750 ქულა) ახალი მსოფლიო რეკორდია. მომდევნო ადგილები დაიკავეს აკიფიევამ (212,070) და კარელინამ (213,303).

საბჭოთა კავშირის ახალმა აბსოლუტურმა ჩემპიონებმა ვ. სახაროვმა და რ. ჟუკოვამ საზეიმო ვითარებაში დაუშვეს გათამაშების ალმები.

საკავშირო პირველობა რუსულ ჰოკეიში

მოსკოვის „დინამო“ — ჩემპიონი

მოსკოვში დამთავრდა სსრ კავშირის პირველობის გათამაშება რუსულ ჰოკეიში. შეჯიბრება, რომელშიც მონაწილეობდა 16 გუნდი, ტარდებოდა ორ ჯგუფში ერთ წრედ.

პირველ ჯგუფში პირველობას ერთმანეთს ეცილებოდნენ სსრ კავშირის შარშანდელი ჩემპიონი — მოსკოვის „დინამოს“ გუნდი, სსრ კავშირის 1950 წლის ჩემპიონი — სვერდლოვსკის ოფიცერთა სახლის კოლექტივი, აგრეთვე „სპარტაკის“ (მოსკოვი), ლენინის სახელობის ფიზიკური აღზრდის ინსტიტუტის (ლენინგრადი), ბალტიის ფლოტის, „ვოდნიკის“ (არხანგელსკი), ოფიცერთა სახლის (რიგა) და ყაზანის ჰოკეისტები.

სპორტულად საინტერესო შეხვედრების შემდეგ გამარჯვება წილად ხვდა შარშანდელ ჩემპიონს—მოსკოვის „დინამოს“ ჰოკეისტთა კოლექტივს, რომელმაც დაამარცხა ყველა მოწინააღმდეგე და 14 ქულა მოაგროვა. მეორე ადგილი დაიკავა ლენინის სახელობის ფიზიკური აღზრდის ინსტიტუტის (ლენინგრადი) გუნდმა, რომელმაც 11 ქულა მოაგროვა.

შეჯიბრების პირობების თანახმად ორი გუნდის — არხანგელსკის „ვოდნიკის“ და ბალტიის ფლოტის ჰოკეისტები, რომელნიც თითო ქულით უკანასკნელ ორ ადგილზე გავიდნენ, მომავალ წელს გადაყვანილი იქნებიან მეორე ჯგუფში.

მეორე ჯგუფის გუნდების ტურნირი ჩატარდა კუიბიშევში.

სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში

ახალი სტადიონი ბუდაპეშტში

ფართო მუშაობა წარმოებს ბუდაპეშტში სპორტულ ნაგებობათა ქსელის გაფართოებისათვის. ბუდაპეშტის სახალხო სტადიონს გარდა, რომელიც ერთ-ერთი უდიდესი იქნება ევროპაში, სტადიონები შენდება აგრეთვე დებრეცენში, სეგლედში, ბაანში, კიშკუნხალაში და სხვა ქალაქებში. ქ. კეშეკემეტში, სადაც ძველად სპორტული მოედანიც კი არ იყო, სახალხო მშენებლობის მეთოდით აგებენ სტადიონს, რომელიც 12 ათას მაყურებელს დატევს.

დიდი ყურადღება ექცევა სოფლად სპორტული მოედნების მშენებლობას. ამას წინათ დუნაპატის სასოფლო-მეურნეო კოოპერატივში მოეწყო საჩვენებელი სტადიონი, რომელსაც აქვს ფეხბურთის მინდორი, სარბენი ბილიკი, კალათბურთის, ფრენბურთის და კეგლბანის მოედანი.

* * *

სპორტული წიგნებისა და ბროშურების გამოცემა

1950 წლის დასაწყისში რუმინეთში შეიქმნა გამომცემლობა „ფიზკულტურა და სპორტი“, ორი წლის მანძილზე გამომცემლობამ გამოუშვა 200 სახელწოდების წიგნი და ბროშურა, რომელთა საერთო ტირაჟი ერთ მილიონზე მეტ ეკუთვნის. აღემატება; მიმდინარე წელს რუმინელი ფიზკულტურელები მიიღებენ 125 ახალ სპორტულ წიგნსა და ბროშურას. მარტო მძლეოსნებისათვის გამოიცემა 16 წიგნი, მათ შორის საბჭოთა ავტორების შრომები: ი. ილიასოვის „სიმაღლეზე ხტომა“, ლ. ხომენკოვის „რბენა მოკლე დისტანციაზე“ და ვ. დიაჩკოვის „ჭოკით ხტომა“. საგამომცემლო გეგმაში დიდი ადგილი აქვს დათმობილი წიგნებს სსრ კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წამყვან სპორტსმენთა შესახებ.

სპორტსმენებისა და ფიზკულტურული აქტივის დასახმარებლად გამოიცემა ბროშურათა სერიები. სპორტის ცალკეული სახეების მიხედვით („ტანმოვარჯიშის ბიბლიოთეკა“, „ბმა ნიშნოსნის ბიბლიოთეკა“, „სოფლის ფიზკულტურელის ბიბლიოთეკა“ და სხვ.).

* * *

ალბანეთის მოჭადრაკეთა ჩემპიონატი

ქ. ტირანაში ჩატარდა მოჭადრაკეთა ეროვნული ჩემპიონატი ალბანეთის 16 უძლიერესი სპორტსმენის მონაწილეობით. ცხარე ბრძოლების შემდეგ ალბანეთის ჩემპიონის წოდება ჭადრაკში ერგო ბუიარ ხოჯას, რომელმაც 10½ ქულა მოაგროვა.

6 ახალი რეკორდი

ბაქოს უძლიერეს ძალოსანთა ასპარეზობაში, რომელიც ახალი წლის წინა დღეებში გაიმართა, მონაწილეობა მიიღო 100-ზე მეტმა სპორტსმენმა.

შეჯიბრება აღინიშნა 6 ახალი რესპუბლიკური რეკორდით. მჩატე წონის ძალოსანმა არზანგულოვმა ორი ხელით აკრა 105 კგ., რითაც გაუმჯობესა აზერბაიჯანის სსრ რეკორდი. რესპუბლიკური რეკორდები დაამყარეს აგრეთვე ქვემსუბუქ წონაში კორნელიუკმა (ატაცი 92,5 კგ.) და მსუბუქ წონაში — მარქარიანმა (სამჭიდის ჯამი 307,5). განსაკუთრებული წარმატება ხვდა წილად ქვესაშუალო წონის ძალოსან ჩერნიკოვს, რომელმაც დაამყარა 3 ახალი რესპუბლიკური რეკორდი (ატაცში — 103,7, აკვრა — 130,7 და სამჭიდის ჯამი — 310 კგ.).

ამ დღეებში ბაქოში სტალინის სახელობის რესპუბლიკურ სტადიონზე გაიმართა მძლეოსანთა შეჯიბრება. ამანათრბენში 10×100 მ. ქალაქის ნაკრებმა დაამყარა ახალი რესპუბლიკური რეკორდი — 1:56,6. სურათზე: ამანათრბენის მომენტი.

კარგი ნამოწყება

აზერბაიჯანის სტალინის სახელობის რესპუბლიკური სტადიონის თანამშრომლებმა გადაწყვიტეს თავიანთი ძალებით ფეხბურთის საკვარჯიშო მოედნის მოწყობა.

მშენებლობაში აქტიურ მონაწილეობას იღებენ ფიზკულტურელებიც.

ადრე გაზაფხულზე ბაქოელ ფეხბურთელებს საწვრთნელი ვარჯიშების დაწყების საშუალება მიეცემათ.

საინტერესო ღაშქრობა

ლენინაკანის სპორტსმენებმა მოაწყეს საინტერესო სამთო - სათხილამურო გადასვლა მარშრუტით ლენინაკანი — არტიკი — არაგაცის მაღალმთიანი მეტეოროლოგიური სადგური—ერჯანი. გადასვლის მონაწილეთა შორის იყვნენ ლენინაკანის საორთქლმავლო დეპოს მემანქანე ს. ხაჩატრიანი, არტელ „ლენკოშის“ მუშა გ. ღაფლანიანი, სტუდენტი ა. ღაფლანიანი და სხვ.

მოლაშქრეებმა მეტეოსადგურის თანამშრომლებთან ჩაატარეს ამხანაგური შეხვედრა ჭადრაკსა და შაშში.

ლენინაკანის სპორტსმენთა სამთო-სათხილამურო გადასვლა წარმატებით დამთავრდა.

ვიბრძოლოთ ფიზკულტურის მასობრივ

რესპუბლიკური სპორტულ-მასობრივ ღონ

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომპლექსური ღონისძიება

ამიერკავკასიის რესპუბლიკების სპარტაკიადა. ერევანში 4-დან 10 ოქტომბრამდე. მონაწილეობენ ნაკრები გუნდები.

ალპინიზმი

სპორტული საკვალიფიკაციო ასვლები: პირველი, მეორე და მესამე ჯგუფებისა — ივლისსა და აგვისტოში.

საქართველოს სსრ პირველობა კლდეზე ცოცვაში. თბილისში სექტემბერში. მონაწილეობენ ნაკრები გუნდები.

ველოსპორტი

მსაჯთა და მწვრთნელთა სემინარები. თბილისში 1-ლ მაისამდე.

საკავშირო დაუსწრებელი შეჯიბრებები: ქალაქების ველომარბიელთა — ადგილებზე 1-დან 8 ივნისამდე; სოფლის ველომარბიელებისა — ადგილებზე 14-დან 21 სექტემბრამდე. მონაწილეობენ ფიზკულტურის კოლექტივები.

სსრ კავშირის 6 ქალაქის შეხვედრა (ტრეკი). მოსკოვში 7-დან 12 ივნისამდე.

მოზარდთა რესპუბლიკური შეჯიბრება (გზატკეცილი და ტრეკი). თბილისში 6-დან 9 ივლისამდე. მონაწილეობენ ოლქებისა და ავტონომიური რესპუბლიკების ნაკრები გუნდები.

მოზარდთა საკავშირო შეჯიბრება (გზატკეცილი და ტრეკი). რიგაში 30 ივლისიდან 4 აგვისტომდე. მონაწილეობენ რესპუბლიკების ნაკრები გუნდები.

საქართველოს სსრ პირველობა (გზატკეცილი და კროსი). თბილისში 17-დან 19 აგვისტომდე. მონაწილეობენ ოლქებისა და ავტონომიური რესპუბლიკების ნაკრები გუნდები.

სსრ კავშირის პირველობა (გზატკეცილი და კროსი). ხარკოვში 6-დან 12 სექტემბრამდე. მონაწილეობენ რესპუბლიკების ნაკრები გუნდები.

საქართველოს სსრ პირველობა ტრეკზე (უწყებათაშორისო). თბილისში 25-დან 28 სექტემბრამდე.

სსრ კავშირის პირველობა ტრეკზე (უწყებათაშორისო). მოსკოვში 15-დან 21 აგვისტომდე.

კოლმეურნეთა შეჯიბრებები: კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში და მტს-ებში 20 სექტემბრამდე. მონაწილეობენ ფიზკულტურის კოლექტივები.

კოლმეურნეთა რესპუბლიკური შეჯიბრება. თბილისში 20-დან 24 სექტემბრამდე. მონაწილეობენ ოლქებისა და ავტონომიური რესპუბლიკების ნაკრები გუნდები.

კოლმეურნეთა საკავშირო შეჯიბრება. კიშინიოვში 11-დან 16 ოქტომბრამდე. მონაწილეობენ რესპუბლიკების ნაკრები გუნდები.

თავისუფალი ჭიდაობა

სამი ქალაქის (სოხუმი, ბათუმი, ქუთაისი) შეხვედრა. ქუთაისში 7-8 ივლისს.

საქართველოს სსრ პირად-გუნდური პირველობა. ბათუმში 1-დან 3 ნოემბრამდე. მონაწილეობენ ოლქებისა და ავტონომიური რესპუბლიკების ნაკრები გუნდები.

სსრ კავშირის პირად-გუნდური პირველობა. ხარკოვში 6-დან 12 დეკემბრამდე. მონაწილეობენ რესპუბლიკების ნაკრები გუნდები.

კალათბურთი

მსაჯთა სემინარი. გორში 3-დან 12 თებერვლამდე.

ქალაქების (თბილისი, სოხუმი, ბათუმი, ქუთაისი, სტალინირი, გორი, ფოთი) შეხვედრა. გორში 10-დან 17 თებერვლამდე.

ამიერკავკასიის რესპუბლიკათა დედაქალაქების მოზარდთა შეხვედრა. თბილისში 25-დან 29 მარტამდე.

სსრ კავშირის 10 ქალაქის მატჩი. კიევში 2-დან 14 აპრილამდე.

თასის გათამაშება. ქალაქებში, ოლქებში და ავტონომიურ რესპუბლიკებში 1 ივნისამდე. მონაწილეობენ კოლექტივების გუნდები.

საქართველოს სსრ თასის გათამაშების ფინალური შეჯიბრება თბილისში 8-დან 10 ივნისამდე. მონაწილეობენ კოლექტივების გუნდები.

სსრ კავშირის თასის გათამაშების ზონალური შეჯიბრებები. ბაქოში 27-დან 30 ივნისამდე. მონაწილეობენ რესპუბლიკების თასების გათამაშებაში გამარჯვებული გუნდები.

სსრ კავშირის თასის გათამაშების ფინალური შეჯიბრება. კუიბიშევში 4-დან 7 ივლისამდე. მონაწილეობენ ზონებში გამარჯვებული გუნდები.

მოზარდთა რესპუბლიკური შეჯიბრება. ფოთში 2-დან 6 ივლისამდე. მონაწილეობენ ოლქებისა და ავტონომიური რესპუბლიკების ნაკრები გუნდები.

მოზარდთა საკავშირო შეჯიბრება. ძაუჯიყაუში 2-დან 12 აგვისტომდე. მონაწილეობენ რესპუბლიკების ნაკრები გუნდები.

საქართველოს სსრ პირველობა. თბილისში 22-დან 29 ივლისამდე. მონაწილეობენ სპორტსაზოგადოებათა კოლექტივები.

სსრ კავშირის პირველობა. ერევანში 7-დან 22 სექტემბრამდე. მონაწილეობენ სპორტსაზოგადოებათა კოლექტივები.

კლასიკური ჭიდაობა

ქალაქებს (სოხუმი, ბათუმი, სტალინირი, ქუთაისი) შეხვედრა. სოხუმში 1-დან 3 ივნისამდე.

საქართველოს სსრ მოზარდთა პირად-გუნდური შეჯიბრება. ბათუმში 22-დან 24 ივნისამდე. მონაწილეობენ ოლქებისა და ავტონომიური რესპუბლიკების ნაკრები გუნდები.

სსრ კავშირის მოზარდთა პირად-გუნდური შეჯიბრება. ივანოვოში 22-დან 28 ივნისამდე. მონაწილეობენ რესპუბლიკების ნაკრები გუნდები.

საქართველოს სსრ პირად-გუნდური პირველობა. თბილისში 19-დან 21 ოქტომბრამდე. მონაწილეობენ ოლქებისა და ავტონომიური რესპუბლიკების ნაკრები გუნდები.

სსრ კავშირის პირად-გუნდური პირველობა. დონის როსტოვში 15-დან 21 ნოემბრამდე. მონაწილეობენ რესპუბლიკების ნაკრები გუნდები.

კრივი

მწვრთნელთა და მსაჯთა სასწავლო შეკრება. თბილისში 19-დან 28 თებერვლამდე.

სსრ კავშირის პირადი პირველობა (უწყებათაშორისო). მოსკოვში 4-დან 11 აპრილამდე.

მოზარდთა რესპუბლიკური შეჯიბრება. სოხუმში 7-დან 9 ივნისამდე. მონაწილეობენ ოლქებისა და ავტონომიური რესპუბლიკების ნაკრები გუნდები.

მოზარდთა საკავშირო შეჯიბრება. ვილნიუსში 12-დან 19 ივლისამდე. მონაწილეობენ რესპუბლიკების ნაკრები გუნდები.

საქართველოს სსრ პირად-გუნდური პირველობა. თბილისში 24-დან 26 ოქტომბრამდე. მონაწილეობენ ოლქებისა და ავტონომიური რესპუბლიკების ნაკრები გუნდები.

სსრ კავშირის გუნდური პირველობა. ხარკოვში 5-დან 13 დეკემბრამდე. მონაწილეობენ რესპუბლიკების ნაკრები გუნდები.

ლელო

საქართველოს სსრ პირველობა. სპეციალური კალენდრის მიხედვით 21-დან 28 სექტემბრამდე. მონაწილეობენ ოლქებისა და ავტონომიური რესპუბლიკების ნაკრები გუნდები.

მაგიდის ჩოგბურთი

მოზარდთა რესპუბლიკური შეჯიბრება. ფოთში 20-დან 23 ივლისამდე. მონაწილეობენ ოლქებისა და ავტონომიური რესპუბლიკების ნაკრები გუნდები.

მოზარდთა საკავშირო შეჯიბრება. ხარკოვში 4-დან 10 აგვისტომდე. მონაწილეობენ რესპუბლიკების ნაკრები გუნდები.

საქართველოს სსრ პირად-გუნდური პირველობა. რუსთავში 12-დან 18 ოქტომბრამდე. მონაწილეობენ სპორტსაზოგადოებათა გუნდები.

სსრ კავშირის პირად-გუნდური პირველობა. ტალინში 15-დან 24 ნოემბრამდე. მონაწილეობენ სპორტსაზოგადოებათა გუნდები.

მოტოსპორტი

საქართველოს სსრ პირველობა (უწყებათაშორისო). თბილისში 15-დან 17 ივლისამდე.

სსრ კავშირის პირველობა (უწყებათაშორისო). ტალინში 7-დან 26 აგვისტომდე.

რბოლა და რეკორდების დამყარება 1 და 5 კილომეტრზე. ადგილებზე 15-დან 25 სექტემბრამდე. მონაწილეობენ ნაკრები გუნდები.

მძლეოსნობა

ქალაქების (სოხუმი, ბათუმი, სტალინირი, ქუთაისი, გორი) შეხვედრა. ქუთაისში 19-20 აპრილს.

ქალაქების (ფოთი, თელავი, ხაშური, ზუგდიდი, სამტრედია, ახალციხე, მახარაძე) შეხვედრა. თელავში 3-4 მაისს.

ამიერკავკასიის რესპუბლიკების მატჩი. ერევანში 10-დან 15 მაისამდე.

საქართველოს უძლიერეს მძლეოსანთა შეჯიბრება. თბილისში 3-4 მაისს.

სსრ კავშირის უძლიერეს მძლეოსანთა შეჯიბრება. მოსკოვში 7-დან 12 ივნისამდე.

საკავშირო დაუსწრებელი შეჯიბრება: პირველი ტური ადგილებზე 18-დან 25 მაისამდე, მეორე ტური — ადგილებზე 14-დან 21 სექტემბრამდე.

მოზარდთა რესპუბლიკური შეჯიბრება. თბილისში 25-დან 29 ივნისამდე. მონაწილეობენ ოლქებისა და ავტონომიური რესპუბლიკების ნაკრები გუნდები.

მოზარდთა საკავშირო შეჯიბრება. მინსკში 26 ივლისიდან 1 აგვისტომდე. მონაწილეობენ რესპუბლიკების ნაკრები გუნდები.

სოფლის ახალგაზრდობის რესპუბლიკური შეჯიბრება. ბათუმში 10-დან 14 სექტემბრამდე. მონაწილეობენ ოლქებისა და ავტონომიური რესპუბლიკების ნაკრები გუნდები.

სოფლის ახალგაზრდობის საკავშირო შეჯიბრება. სიმფეროპოლში 11-დან 17 ოქტომბრამდე. მონაწილეობენ რესპუბლიკების ნაკრები გუნდები.

მასობრივი შეჯიბრებები გრძელ დისტანციებზე რბენაში: ქალაქებსა და რაიონებში (15.000 მ.) 20 სექტემბრამდე; ოლქებსა და ავტონომიურ რესპუბლიკებში (20.000 მ.) — 10 ოქტომბრამდე. მონაწილეობენ ძირეული კოლექტივები.

რესპუბლიკური შეჯიბრება მარათონულ რბენაში (42 კმ. 195 მ.). თბილისში 24-დან 26 ოქტომბრამდე. მონაწილეობენ ოლქებისა და ავტონომიური რესპუბლიკების ნაკრები გუნდები.

საქართველოს სსრ პირად-გუნდური პირველობა (უწყებათაშორისო). თბილისში 28-დან 30 ივნისამდე.

მასობრივი შეჯიბრებები მშთ მრავალჭიდში: ქალაქებსა და რაიონებში 20 სექტემბრამდე. მონაწილეობენ ძირეული კოლექტივები; ოლქებსა და ავტონომიურ რესპუბლიკებში — 15 ოქტომბრამდე. მონაწილეობენ ნაკრები გუნდები.

რესპუბლიკური შეჯიბრება მშთ მრავალჭიდში. თბილისში 1-დან 3 ნოემბრამდე. მონაწილეობენ ოლქებისა და ავტონომიური რესპუბლიკების ნაკრები გუნდები.

ნიჩბოსნობა

მოზარდთა რესპუბლიკური შეჯიბრება. მცხეთაში 20-დან 22 ივლისამდე. მონაწილეობენ ოლქებისა და ავტონომიური რესპუბლიკების ნაკრები გუნდები.

მოზარდთა საკავშირო შეჯიბრება. ლენინგრადში 21-დან 25 აგვისტომდე. მონაწილეობენ რესპუბლიკების ნაკრები გუნდები.

საქართველოს სსრ პირველობა. ბათუმში 24-დან 27 აგვისტომდე. მონაწილეობენ ოლქებისა და ავტონომიური რესპუბლიკების ნაკრები გუნდები.

სსრ კავშირის პირველობა. ასტრახანში 20-დან 25 სექტემბრამდე. მონაწილეობენ რესპუბლიკების ნაკრები გუნდები.

რუსული რიკაობა

შეჯიბრებები ქალაქებში 10 ოქტომბრამდე. მონაწილეობენ ფიზკულტურის კოლექტივები.

საქართველოს სსრ პირადი პირველობა. რუსთავში 30 ოქტომბრამდე. მონაწილეობენ ფიზკულტურის კოლექტივები.

სათხილამურო სპორტი

სსრ კავშირის უძლიერეს მეთხილამურეთა შეჯიბრება (ხტომები, ორჭიდი, სლალომი). ბაკურიანში 2-დან 4 თებერვლამდე.



სსრ კავშირის რეკორდსმენი, სპ... მეტრზე თ...

საკავშირო დაუსწრებელი შეჯიბრება. ... ლებზე 20 თებერვლამდე.

სოფლის ახალგაზრდობის რესპუბლიკური ... ჯიბრება. ბაკურიანში 10-დან 14 თებერვ... მონაწილეობენ ოლქებისა და ავტონომ... რესპუბლიკების ნაკრები გუნდები.

სოფლის ახალგაზრდობის საკავშირო შ... რება. მოლოტოვში 23-დან 29 თებერვ... მონაწილეობენ რესპუბლიკების ნაკრები... დები.

საქართველოს სსრ პირად-გუნდური ... ლობა. ბაკურიანში 5-დან 11 თებერვლამდ... ნაწილეობენ სპორტსაზოგადოებების ნ... გუნდები.

სსრ კავშირის პირად-გუნდური პირველ... ტრამპლინიდან ხტომები და ორჭიდი — ... ში 1-დან 6 მარტამდე; სლალომი, სწრაფდ... და სამთო ორჭიდი — ალმა-ატაში 5-დ... მარტამდე. მონაწილეობენ რესპუბლიკებ... რები გუნდები.

მწვრთნელთა საკავშირო შეკრება. ბაკურ... 18-დან 31 მარტამდე.

საიალქნო სპორტი

საკავშირო დაუსწრებელი შეჯიბრება. ... ლებზე 6-დან 13 ივნისამდე. მონაწილეობ... ლაქების გუნდები.

მოზარდთა რესპუბლიკური შეჯიბრება. ... ხუმში 20-დან 22 ივლისამდე. მონაწილ... ოლქებისა და ავტონომიური რესპუბლ... ნაკრები გუნდები.

მოზარდთა საკავშირო შეჯიბრება. ... 12-დან 18 აგვისტომდე. მონაწილეობენ ... პუბლიკების ნაკრები გუნდები.

საქართველოს სსრ პირად-გუნდური ... ლობა (შვერტბოტი და ექვსნიჩბიანი ნავ... თუმში 28-დან 31 აგვისტომდე. მონაწილ... ოლქებისა და ავტონომიური რესპუბლ... ნაკრები გუნდები.

სსრ კავშირის პირად-გუნდური პირ... შვერტბოტი — ნიკოლაევში 27 სექტემბ... ოქტომბრამდე, ექვსნიჩბიანი ნავებით — 11-დან 20 ოქტომბრამდე. მონაწილეობენ ... პუბლიკების ნაკრები გუნდები.

სასროლო სპორტი

ქალთა გუნდების დაუსწრებელი შეჯ... ადგილებზე 5-6 მარტს. მონაწილეობენ ნ... გუნდები.

მოზარდთა რესპუბლიკური შეჯიბრება ... ლისში 3-დან 6 ივლისამდე. მონაწილეობ... ქებისა და ავტონომიური რესპუბლიკებ... რები გუნდები.

მოზარდთა საკავშირო შეჯიბრება. კ... დან 28 ივლისამდე. მონაწილეობენ რეს... კების ნაკრები გუნდები.

საქართველოს სსრ პირად-გუნდური ... ლობა. გორში 3-დან 10 აგვისტომდე. ... ლეობენ ოლქებისა და ავტონომიური რ... ლიკების ნაკრები გუნდები.

სსრ კავშირის პირად-გუნდური პირ... ლვოვში 6-დან 20 სექტემბრამდე. მონაწ... ბენ რესპუბლიკების ნაკრები გუნდები.

სასტენდო სროლა

საქართველოს სსრ პირველობა (უწ... შორისო). თბილისში 22-დან 25 ივნისამ...

სსრ კავშირის პირველობა (უწყებათაშ... ომსკში 16-დან 25 აგვისტომდე.

სპინინგი

შეჯიბრებები ქალაქებსა და რაიონ... ნოემბრამდე. მონაწილეობს ყველა მსურ...



★

რბენა მძლეოსნობის ერთ-ერთი საინტერესო და ურთულესი სახეა. იგი სპორტსმენისაგან მოითხოვს მაღალ ოსტატობას. მორბენალის წარმატება ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ გაანაწილებს თავის ძალებს დისტანციაზე.

სურათზე თქვენ ხედავთ ჩვენი ფოტოკორესპონდენტის კ. კრიმსკის ეტიუდს „ფინიშის წინ".

★

...ისათვის, ახალი რეკორდებისათვის!

...ეგათა 1952 წლის კალენდარული გეგმა

ეროვნული ბიბლიოთეკა



...ბული ოსტატი ე. გოკელი 80 ...ციაზე.

ტანვარჯიში

...ნელთა და მსაჯთა შეკრება. თბილისში ...ერვლამდე.

...კავშირის პირადი პირველობა მრავალ- (სპორტული ტანვარჯიში). ლენინგრადში 18 აპრილამდე.

...ქების (სოხუმი, ბათუმი, ქუთაისი, ფოთი) ...რა. ქუთაისში 10-დან 14 მაისამდე.

...ქების (სტალინირი, გორი, ახალციხე, თე- შეხვედრა. გორში 25-დან 29 მაისამდე.

...რდთა რესპუბლიკური შეჯიბრება. თბი- 1-დან 4 ივლისამდე. მონაწილეობენ ოლ- და ავტონომიური რესპუბლიკების ნაკ- ...ენდები.

...რდთა საკავშირო შეჯიბრება. ტალინში 24 ივლისამდე. მონაწილეობენ რესპუბ- ...ს ნაკრები გუნდები.

...თველოს სსრ პირად-გუნდური პირვე- ...მხატვრულ ტანვარჯიშსა და აკრობატი- — თბილისში 25-დან 29 ოქტომბრამდე; ...ულ ტანვარჯიშში — თბილისში 3-დან ...ბრამდე. მონაწილეობენ ოლქებისა და ...ომიური რესპუბლიკების ნაკრები გუნ-

...ეურნე ახალგაზრდობის რესპუბლიკური ...ება. თბილისში სექტემბერში. მონაწი- ...ნ ოლქებისა და ავტონომიური რესპუბ- ...ს ნაკრები გუნდები.

...კავშირის პირად-გუნდური პირველობა: ...ულ ტანვარჯიშსა და აკრობატიკაში — ...ოვსკში 9-დან 15 დეკემბრამდე, სპორ- ...ტანვარჯიშში — იქვე 16-დან 22 დეკემ- . მონაწილეობენ რესპუბლიკების ნაკრე- ...ენდები.

ტურიზმი

...ინიზატორთა და ინსტრუქტორთა სემინა- ...-დან 20 მაისამდე.

ფარიკაობა

...ერდთა რესპუბლიკური შეჯიბრება. ბა- 6-დან 9 ივლისამდე. მონაწილეობენ ...ისა და ავტონომიური რესპუბლიკების ...ი გუნდები.

...ერდთა საკავშირო შეჯიბრება. ხარკოვში 24 ივლისამდე. მონაწილეობენ რეს- ...ების ნაკრები გუნდები.

...თველოს სსრ პირად-გუნდური პირვე- (უწყებათაშორისო). ზესტაფონში 14-დან ...ტემბრამდე.

...კავშირის პირად-გუნდური პირველობა ...თაშორისო). კიევში 22 ნოემბრიდან 1 ...ბრამდე.

...თველოს სსრ პირად-გუნდური პირვე- ...ელჩართულ ბრძოლაში. თბილისში 14- ...აგვისტომდე. მონაწილეობენ ოლქებისა ...ონომიური რესპუბლიკების ნაკრები ...ები.

...კავშირის პირად-გუნდური პირველობა ...ულ ბრძოლაში. უაზანში 4-დან 6 სექ- ...ამდე. მონაწილეობენ რესპუბლიკების ... გუნდები.

ფეხბურთი

...თველოს სსრ პირველობა: სპეციალური ...ერით. ივნისი-სექტემბერი.

...კავშირის პირველობის გათამაშება („ა" ...ლასები). სპეციალური კალენდრით. ...ექტემბერი.

...ლაქ თასების გათამაშება. ადგილებზე 10 ივნისამდე. მონაწილეობენ ძირეული ...ტივები.

...ებისა და ავტონომიური რესპუბლიკების თასების გათამაშება. ადგილებზე 11-დან 25 ივნისამდე. მონაწილეობენ ძირეული კოლექტივები.

საქართველოს სსრ თასის გათამაშება. თბილისში. ივნისი-ივლისი. მონაწილეობენ ოლქებში და ავტონომიურ რესპუბლიკებში გამარჯვებული გუნდები.

სსრ კავშირის თასის გათამაშება. სპეციალური კალენდრით. აგვისტო.

ჰაბუკთა რესპუბლიკური შეჯიბრება. სპეციალური კალენდრით. 25 ივლისიდან 5 აგვისტომდე.

ჰაბუკთა საკავშირო შეჯიბრება. სპეციალური კალენდრით. 23 ივლისიდან 7 აგვისტომდე.

ნებაყოფლობით სასოფლო სპორტსაზოგადოება „კოლმეურნის" რესპუბლიკური შეჯიბრება. სპეციალური კალენდრით. სექტემბერი.

ზონალური შეჯიბრებები კოლმეურნეობათა გუნდებისათვის საკავშირო კომიტეტის მიერ დაწესებულ ჯილდოზე. ოქტომბერი.

ფრენბურთი

ქალაქების (თბილისი, სოხუმი, ბათუმი, ქუთაისი, ფოთი, რუსთავი) შეხვედრა. სოხუმში 24-დან 29 თებერვლამდე.

სსრ კავშირის 8 ქალაქის მატჩი. კაუნასში 12-დან 23 აპრილამდე.

ქალაქების, ოლქებისა და ავტონომიური რესპუბლიკების თასების გათამაშება. ადგილებზე 1-დან 22 მაისამდე.

საქართველოს სსრ თასის გათამაშება. თბილისში 1-დან 3 ივნისამდე.

სსრ კავშირის თასის გათამაშება. მინსკში 21-დან 27 ივნისამდე.

მოზარდთა რესპუბლიკური შეჯიბრება. ქუთაისში. ივლისი. მონაწილეობენ ოლქებისა და ავტონომიური რესპუბლიკების ნაკრები გუნდები.

მოზარდთა საკავშირო შეჯიბრება. დონის როსტოვში 25 ივლისიდან 5 აგვისტომდე. მონაწილეობენ რესპუბლიკების ნაკრები გუნდები.

საქართველოს სსრ პირველობა. თბილისში 6-დან 13 ივლისამდე.

სსრ კავშირის პირველობა. სტალინოში 6-დან 20 სექტემბრამდე.

ქართული ჭიდაობა

საქართველოს სსრ პირად-გუნდური პირველობა (უწყებათაშორისო). თბილისში 7-დან 10 სექტემბრამდე.

„კოლმეურნის" და „დინამოს" მოჭიდავეთა ნაკრები გუნდების შეხვედრა. სოხუმში 21 სექტემბერს.

პროფკავშირების და „სპარტაკის" მოჭიდავეთა ნაკრები გუნდების შეხვედრა. ქუთაისში 12 ოქტომბერს.

აფხაზეთის და აჭარის მოჭიდავეთა ნაკრები გუნდების შეხვედრა. ქობულეთში 9 ნოემბერს.

ჩოგბურთი

მწვრთნელთა და მსაჯთა სასწავლო შეკრება. თბილისში 1-დან 10 მარტამდე.

საკავშირო შეჯიბრება დახურულ კორტებზე. მოსკოვში 21-დან 31 მარტამდე.

ქალაქების, ოლქებისა და ავტონომიური რესპუბლიკების თასების გათამაშება. ადგილებზე 1-დან 30 აპრილამდე. მონაწილეობენ ფიზკულტურის კოლექტივები.

საქართველოს სსრ თასის გათამაშება. ბათუმში 7-დან 16 ივნისამდე.

სსრ კავშირის თასის გათამაშება. თბილისში 14-დან 20 ოქტომბრამდე. მონაწილეობენ რესპუბლიკების თასების გათამაშებაში გამარჯვებულნი.

სსრ კავშირის უძლიერეს ჩოგბურთელთა შეჯიბრება. დონის როსტოვში 16-დან 23 ივნისამდე.

ესტონეთის, უკრაინისა და საქართველოს ნაკრები გუნდების შეხვედრა. ტალინში 29 ივნისიდან 8 ივლისამდე.

ქალაქების (სოხუმი, ბათუმი, ქუთაისი, რუსთავი) შეხვედრა. სოხუმში 19-დან 23 ივლისამდე.

ახალგაზრდობის რესპუბლიკური პირად-გუნდური შეჯიბრება. თბილისში 19-დან 25 ივნისამდე. მონაწილეობენ ოლქებისა და ავტონომიური რესპუბლიკების ნაკრები გუნდები.

ახალგაზრდობის საკავშირო პირად-გუნდური შეჯიბრება. ხარკოვში 6-დან 18 ივლისამდე. მონაწილეობენ რესპუბლიკების ნაკრები გუნდები.

მოზარდთა რესპუბლიკური პირად-გუნდური შეჯიბრება. ბათუმში 15 ივლისამდე. მონაწილეობენ ოლქებისა და ავტონომიური რესპუბლიკების ნაკრები გუნდები.

მოზარდთა საკავშირო პირად-გუნდური შეჯიბრება. ლენინგრადში 8-დან 20 აგვისტომდე. მონაწილეობენ რესპუბლიკების ნაკრები გუნდები.

საქართველოს სსრ პირად-გუნდური პირველობა. თბილისში 18-დან 29 სექტემბრამდე. მონაწილეობენ ოლქებისა და ავტონომიური რესპუბლიკების ნაკრები გუნდები.

სსრ კავშირის პირად-გუნდური პირველობა. მოსკოვში 25 აგვისტოდან 8 სექტემბრამდე. მონაწილეობენ რესპუბლიკების ნაკრები გუნდები.

ცურვა და წყალში ხტომა

უძლიერეს მოცურავეთა რესპუბლიკური შეჯიბრება. თბილისში 9-დან 12 მარტამდე.

ბაქოს, თბილისის და ერევნის მოზარდთა შეხვედრა. თბილისში 22-დან 26 მარტამდე.

ქალაქების (სოხუმი, ბათუმი, ფოთი) შეხვედრა. ბათუმში 22-დან 24 ივნისამდე.

სპეციალიზებული სკოლების მოცურავეთა შეხვედრა. თბილისში 16-დან 20 ნოემბრამდე.

მოზარდთა რესპუბლიკური შეჯიბრება. თბილისში 28-დან 30 ივნისამდე. მონაწილეობენ ოლქებისა და ავტონომიური რესპუბლიკების ნაკრები გუნდები.

მოზარდთა საკავშირო შეჯიბრება. ასტრახანში 6-დან 11 აგვისტომდე. მონაწილეობენ რესპუბლიკების ნაკრები გუნდები.

საკავშირო დაუსწრებელი შეჯიბრება. ადგილებზე 20 ივლისიდან 3 აგვისტომდე. მონაწილეობენ ფიზკულტურის კოლექტივები.

საქართველოს სსრ პირად-გუნდური პირველობა. ფოთში 27-დან 30 ივლისამდე. მონაწილეობენ ოლქებისა და ავტონომიური რესპუბლიკების ნაკრები გუნდები.

სსრ კავშირის პირად-გუნდური პირველობა. კიევში 2-დან 8 სექტემბრამდე. მონაწილეობენ რესპუბლიკების ნაკრები გუნდები.

ესტონეთის და საქართველოს ნაკრები გუნდების შეხვედრა. თბილისში. ნოემბერი.

ცხენოსნობა

საქართველოს სსრ პირველობა. თბილისში 22-დან 27 ივნისამდე. მონაწილეობენ ოლქებისა და ავტონომიური რესპუბლიკების ნაკრები გუნდები.

სსრ კავშირის პირველობა. მოსკოვში 22 აგვისტოდან 6 სექტემბრამდე. მონაწილეობენ რესპუბლიკების ნაკრები გუნდები.

ძალოსნობა

მსაჯთა და მწვრთნელთა სასწავლო შეკრება. თბილისში. თებერვალი.

ძალოსანთა მესამე საკავშირო კონკურსი: კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, მტს-ებში, რაიონებსა და ოლქებში — იანვარ-მარტში. მონაწილეობენ ფიზკულტურის კოლექტივები; რესპუბლიკური — გორში 17-18 მარტს. მონაწილეობენ ოლქებისა და ავტონომიური რესპუბლიკების ნაკრები გუნდები; საკავშირო — დონის როსტოვში 5-დან 9 აპრილამდე. მონაწილეობენ რესპუბლიკის ნაკრები გუნდები.

საკავშირო დაუსწრებელი შეჯიბრება. თებერვალსა და ოქტომბერში ადგილებზე. მონაწილეობენ ქალაქების ნაკრები გუნდები.

სსრ კავშირის პირადი პირველობა (უწყებათაშორისო). ივანოვოში 25-დან 31 მარტამდე.

ქალაქების (სოხუმი, ბათუმი, ქუთაისი) შეხვედრა. სოხუმში 5-6 ივლისს.

საქართველოს სსრ პირად-გუნდური პირველობა. ბათუმში 10-დან 12 ნოემბრამდე. მონაწილეობენ ოლქებისა და ავტონომიური რესპუბლიკების ნაკრები გუნდები.

სსრ კავშირის გუნდური პირველობა. სტალინგრადში 15-დან 20 დეკემბრამდე. მონაწილეობენ რესპუბლიკების ნაკრები გუნდები.

წყალბურთი

ქალაქებას (სოხუმი, ბათუმი, ფოთი) შეხვედრა. ბათუმში 22-დან 24 ივნისამდე.

სსრ კავშირის 6 ქალაქის უძლიერესი გუნდების შეხვედრა. მოსკოში 19 იანვრიდან 1 თებერვლამდე

სსრ კავშირის 8 ქალაქის მოზარდთა შეხვედრა. კიევში 19-დან 23 ივლისამდე.

ესტონეთისა და საქართველოს ნაკრები გუნდების შეხვედრა. თბილისში. ნოემბერი.

შეჯიბრება გაზეთ „ლენინის" ჯილდოზე. თბილისში 23-დან 28 ნოემბრამდე. მონაწილეობენ ფიზკულტურის კოლექტივები.

საქართველოს სსრ პირველობა. თბილისში. აგვისტო. მონაწილეობენ ფიზკულტურის კოლექტივები.

სსრ კავშირის პირველობა. ბაქოში 16 სექტემბრიდან 7 ოქტომბრამდე. მონაწილეობენ რესპუბლიკების პირველობებში გამარჯვებული გუნდები.

ჭადრაკი

რესპუბლიკის პირველობის ნახევარფინალური შეჯიბრებები. ქუთაისში და ფოთში 15 თებერვლიდან 10 მარტამდე.

საქართველოს სსრ პირადი პირველობა. თბილისში 12 თებერვლიდან 12 მარტამდე.

საქართველოს სსრ გუნდური პირველობა. სპეციალური კალენდრით. 17-დან 24 აგვისტომდე. მონაწილეობენ სპორტსაზოგადოებათა გუნდები.

სსრ კავშირის გუნდური პირველობა (უწყებათაშორისო). ოდესაში 5-დან 20 სექტემბრამდე.

კოლმეურნეთა რესპუბლიკური შეჯიბრება. ფოთში 10-დან 30 აპრილამდე.

კოლმეურნეთა საკავშირო შეჯიბრება. მოსკოვში 20 მაისიდან 3 ივნისამდე.

მოზარდთა რესპუბლიკური შეჯიბრება. სოხუმში 25 ივნისიდან 12 ივლისამდე.

მოზარდთა საკავშირო შეჯიბრება. დონის როსტოვში. 17-დან 31 ივლისამდე.

სსრ კავშირის XX პირველობის მეოთხედფინალები. თბილისში და სხვა 9 ქალაქში. 1 ივლისიდან 1 ოქტომბრამდე.

სსრ კავშირის XX პირველობის ნახევარფინალები. ლენინგრადში და სხვა 3 ქალაქში 10 მაისიდან 13 ივნისამდე.

სსრ კავშირის ქალთა XV პირველობის ნახევარფინალები. მინსკში, კიევში და ერევანში 5-დან 30 დეკემბრამდე.

სსრ კავშირის ქალთა XIV პირველობის ფინალი. თბილისში 15 მარტიდან 15 აპრილამდე.

მესამე საკავშირო პირველობა საჭადრაკო კომპოზიციაში. მოსკოვში (დაუსწრებლად) იანვრიდან დეკემბრამდე.

ქალთა რესპუბლიკური პირველობა. თბილისში 16-დან 30 აპრილამდე.

ჭიდაობა სამგო

მწვრთნელთა და მსაჯთა სასწავლო შეკრება. თბილისში 15-დან 24 თებერვლამდე.

საქართველოს სსრ პირად-გუნდური პირველობა. სოხუმში 21-დან 23 სექტემბრამდე. მონაწილეობენ ოლქებისა და ავტონომიური რესპუბლიკების ნაკრები გუნდები.

სსრ კავშირის პირად-გუნდური პირველობა. დონის როსტოვში 13-დან 24 ოქტომბრამდე. მონაწილეობენ რესპუბლიკების ნაკრები გუნდები.

შაში

საქართველოს სსრ პირველობა. სტალინირში 10-დან 30 მარტამდე.

სსრ კავშირის პირველობის მეოთხედფინალები. რიგაში და კალინინში 18 ივნისიდან 10 აგვისტომდე.

კოლმეურნეთა რესპუბლიკური შეჯიბრება. ქუთაისში 15-დან 30 აპრილამდე.

კოლმეურნეთა მესამე საკავშირო ტურნირი. მოსკოვში 7-დან 31 მაისამდე.

საკავშირო კონკურსი საშაშო კომპოზიციაში. მოსკოვში (გამოუძახებლად). იანვარი-დეკემბერი.

ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა რესპუბლიკური კომიტეტის სასნავლო-სპორტული განყოფილება

★

დედაქალაქის ველოსმარბიელები, სარგებლობენ რა ხელსაყრელი ამინდით, ნაყოფიერად ვარჯიშობენ ღიაცის ქვეშ. თბილისის ლ. პ. ბერიას სახელობის ველოსტადიონზე სისტემატურ წვრთნას გადის თბილისის განათლების განყოფილების ველოსექციის 56 ნორჩი ველოსმარბიელი.



სურათზე: მწვრთნელი ი. დიდებულიძე ავარჯიშებს მოზარდ ველოსმარბიელებს.

ფოტო მ. ზარგარიანისა

★

დილა მშვიდობისა, ამხანაგებო!

I ვარჯიში. ხელების გამართვა განზე და ქვევით.



საწყისი მდგომარეობა: გაშალეთ ფეხები მხრების სიგანეზე, დოინჯი. თავი დახარეთ წინ.

თვლაზე 1-2: გამართეთ ხელები განზე და ქვევით, ხელის გულები შეატრიალეთ წინ, გაიზნიქეთ და ჩაისუნთქეთ;

თვლაზე 3-4: მოხარეთ ხელები და დაუბრუნდით საწყის მდგომარეობას, ამოისუნთქეთ.

II ვარჯიში. ფეხის თანმიმდევრობით აწევა განზე ერთდროულად ხელების განზე აწევით.



საწყისი მდგომარეობა: ფეხები ერთად, ხელები თავისუფლად დაუშვით ქვევით.

თვლაზე 1: ასწიეთ მარჯვენა ფეხი განზე, ერთდროულად ხელებიც ასწიეთ განზე და ჩაისუნთქეთ;

თვლაზე 2: დაუშვით ხელები და მარჯვენა ფეხი ქვეკით, ამოისუნთქეთ;

თვლაზე 3-4: გაიმეორეთ იგივე მოძრაობა მარცხენა ფეხით.

III ვარჯიში. ზურგზე წოლითი მდგომარეობიდან ფეხების



★

დიღის ვარჯიშების მეოთხე კომპლექსი

★

აწევა თანმიმდევრობით განზე გაშლით და შეერთებით.

საწყისი მდგომარეობა: დაწექით ზურგზე, გამართული ფეხები შეაერთეთ.

თვლაზე 1: ასწიეთ და გაშალეთ ფეხები, ამოისუნთქეთ;

თვლაზე 2: დაუშვით გაშლილი ფეხები და ჩაისუნთქეთ;

თვლაზე 3: ასწიეთ და შეაერთეთ ფეხები, ამოისუნთქეთ;

თვლაზე 4: შეერთებული ფეხები დაუშვეთ და ჩაისუნთქეთ.

IV ვარჯიში. ტანის დახრა წინ, დოინჯი.



საწყისი მდგომარეობა. გაშალეთ ფეხები მხრების სიგანეზე, ხელები ასწიეთ განზე.

თვლაზე 1-2: დახარეთ ტანი წინ, დოინჯი, იდაყვები ოდნავ გასწიეთ უკან და ამოისუნთქეთ;

თვლაზე 3-4: გაიმართეთ, ხელები ასწიეთ განზე, ჩაისუნთქეთ.

V ვარჯიში. ხელების მოხრა ბჯენში.



საწყისი მდგომარეობა: დაეყრდენით ხელებით მაგიდას (სკამს ან იატაკს), თავი, ტანი და ფეხები უნდა იყოს ერთ სწორ ხაზზე.

თვლაზე 1-2: მოხარეთ ხელები, თავი მიაბრუნეთ გვერდზე და ჩაისუნთქეთ;

თვლაზე 3-4: გაამართეთ ხელები, თავი გასწორეთ და ამოისუნთქეთ.

VI ვარჯიში. ტანის წრიული მოძრაობა.



საწყისი მდგომარეობა: გაშალეთ ფეხები მხრებზე ცოტათა უფრო განივრად, ხელები თავისუფლად დაუშვეთ ქვევით.

ოთხ თვლაზე ტანი დახარეთ წინ და გააკეთეთ წრიული მოძრაობა, ე. ი. ტანი გასწიეთ გვერდზე, მარჯვნივ, უკან და დაუბრუნდით საწყის მდგომარეობას;

შემდეგ ოთხ თვლაზე შეასრულეთ იგივე მოძრაობა მეორე მხარეს (ტანის მარცხნივ ტრიალი). ვარჯიშის დროს ხელები თავისუფლად არის დაშვებული ქვევით.

თვლაზე 1-2: ამოისუნთქეთ;

თვლაზე 3-4: ჩაისუნთქეთ.

VII ვარჯიში. ნახტომები ფეხების მდგომარეობის შეცვლით.



საწყისი მდგომარეობა: დადგით მარცხენა ფეხი მარჯვენა ფეხის წინ ერთი ნაბიჯის მანძილზე, ტანის სიმძიმე თანაბრად გაანაწილეთ ორივე ფეხზე, დოინჯი.

ყოველი ნახტომის დროს ოდნავ ხრით მუხლებს და ცვლით ფეხების მდგომარეობას, ნახტომებს ასრულებთ ფეხის ცერებზე: სუნთქვა თანაბარია.

ხ. ვ. — საწყისი მდგომარეობა.

საბალნო დემოკრატიის ქვეყნებში დიდი პოპულარობით სარგებლობს კრივი. ამას წინათ ვარშავაში გაიმართა ჩეხოსლოვაკიისა და პოლონეთის მოკრივეთა ამხანაგური შეხვედრა. შეხვედრა მოიგეს პოლონელმა მოკრივეებმა ანგარიშით 14:6. **სურათზე:** პოლონელ მოკრივე გუელიაკის (მარჯვნივ) და ჩეხოსლოვაკელ სპორტსმენ კრაიკოვიჩის შეხვედრის მომენტი. შეხვედრა მოიგო გუელიაკმა.

ყოველი მხრიდან

⊙ გაიმართა რუმინეთის ჩოგბურთელთა პირველი შეჯიბრება დახურულ კორტებზე. ასპარეზობაში მონაწილეობდა რესპუბლიკის 14 უძლიერესი მოთამაშე, რომლებიც დაყოფილი იყვნენ ორ ჯგუფად.

⊙ ძალოსნობაში რესპუბლიკის პირველობაზე გამართულ შეჯიბრებაში ბულგარელმა შტანგისტებმა გააუმჯობესეს 14 ეროვნული რეკორდი.

⊙ კოპენჰაგენში გაიმართა საერთაშორისო შეჯიბრება ცურვაში. დანიის წარმომადგენელმა ანდერსენმა 100 მ. ნებისმიერი სტილით ცურვაში უჩვენა 1:05,0, ვიელემამ (ჰოლანდია) 100 მ. ზურგზე — 1:11,7 და ნელ ჰარისტენმა (ჰოლანდია) 100 მ. ბრასით — 1:19,0.

⊙ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და უნგრეთის ტანმოვარჯიშე ქალთა საერთაშორისო შეხვედრა, რომელიც გაიმართა ალტენბურგში (გდრ), დამთავრდა უნგრელთა გამარჯვებით. მატჩის ანგარიშია 234,40:225,05.

⊙ ქ. დურესში დამთავრდა ალბანეთის პირველობის გათამაშება სიმძიმეების აწევაში. პირველი ადგილი დაიკავა „პარტიზანეს“ გუნდმა, მეორე — „პუნამ“ (დურესი). შეჯიბრების დროს გაუმჯობესებულ იქნა 10 ეროვნული რეკორდი.

მოწინავე კოლექტივი

ქ. ფოთის წინსქვილკომბინატის ფიზკულტურული კოლექტივი ერთ-ერთი მოწინავეა ქალაქში. დირექციის დახმარებითა და ხელშეწყობით კომბინატის ფიზკულტურის ძირეულმა საბჭომ მოაწყო კალათბურთისა და ფრენბურთის მოედნები, შეიძინა სპორტული ინვენტარი. სისტემატურად მუშაობენ სექციები.

კოლექტივმა გადაჭარბებით შეასრულა მშთ ნიშნონსნებისა და თანრიგოსნების მომზადების გასული წლის გეგმა.

სასწავლო-სპორტული მუშაობის გაუმჯობესების შედეგად კომბინატის ფიზკულტურელები დღითი-დღე იმაღლებენ სპორტული მომზადების დონეს. კალათბურთელთა გუნდმა 1951 წლის საქართველოს პირველობაზე II ადგილი მოიპოვა მეორე ჯგუფში, ფრენბურთელებმა კი მესამე ადგილი დაიკავეს ქალაქის პირველობაში. მოკადრაკე ი. ლოლუამ „პიშჩევიკის“ 1951 წლის რესპუბლიკის ჩემპიონის წოდება მოიპოვა.

კარგი სპორტული მაჩვენებლები აქვთ კომბინატის კალათბურთელებს პატარინოვს, გურგენიძეს, რიბკინს, თუნთიას, მოჭადრაკე ვეკუას, მოცურავე ბარაბაშს, ტანმოვარჯიშე გ. ბერძენს და სხვ.

ახლო მომავალში გეგმით გათვალისწინებულია ძირეული კოლექტივის პირველობის ჩატარება ჭადრაკში, შაშსა და მაგიდის ჩოგბურთში.

ა. ლომაია

ჩვენ გვწერენ

კარგი გადაწყვეტილება ქალაქზე დარჩა

1951 წელს ვანის რაიონში ჩატარდა საკოლმეურნეო გუნდების პირველობა ფეხბურთში, რომელშიც არ მონაწილეობდა სოფ. ტობანიერის გუნდი. ეს შემთხვევითი მოვლენა რომ იყო. ტობანიერის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ახალგაზრდობა ვერც სხვა შეჯიბრებებში ღებულობს მონაწილეობას, იგი მთლიანად მოწყვეტილია ფიზკულტურულ საქმიანობას. აქ არაა არც ერთი სპორტული მოედანი, არაა სპორტული ინვენტარი, არ მუშაობს არც ერთი სექცია.

კოლმეურნეობის კომკავშირულმა ორგანიზაციამ მიიღო დადგენილება ფეხბურთის, ფრენბურთისა და კალათბურთის მოედნების აგების შესახებ, ხოლო კოლმეურნეობის გამგეობა შეეპირდა ფიზკულტურელებს სპორტული ფორმის შეძენას, მაგრამ ეს კარგი გადაწყვეტილება ქალაქზე დარჩა, ხოლო გამგეობის დაპირება — დაპირებად.

კოლმეურნეობის ახალგაზრდობის მისწრაფებას — იმეცადინოს სპორტის სხვადასხვა სახეში, არავინ ყურადღებას არ აქცევს. კოლმეურნეობის გამგეობა და კომკავშირული ორგანიზაცია არ არიან დაინტერესებული სოფლის ფიზკულტურელთათვის სამეცადინო პირობების შექმნით.

დროა ტობანიერის კოლმეურნეობის ხელმძღვანელობამ იზრუნოს კოლმეურნეობაში ფიზკულტურის განვითარებისათვის.

ო. გუმბერიძე,
ა. შარაშენიძე,
დ. სანიკიძე.

მეგზურობა სათხილამურო სპორტს

სათხილამურო სპორტის განვითარების კარგი პირობები არსებობს აფხაზეთის მთიან რაიონებში. თოვლით დაფარულ დამრეც ფერდობებზე სამთო-სათხილამურო სპორტის მოყვარულები შესძლებენ დაეუფლონ სლალომისა და სწრაფდაშვების რთულ ტექნიკას, აიმაღლონ სპორტული მომზადება.

მაგრამ აფხაზეთში სათხილამურო სპორტის განვითარებას ნაკლები ყურადღება ექცევა. სოხუმის ლ. პ. ბერიას სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ფაკულტეტმა შეაძინა სათხილამურო სპორტისათვის საჭირო ინვენტარი, მაგრამ იგი გამოუყენებელია. სტუდენტი სპორტსმენები მოკლებული არიან საშუალებას ივარჯიშონ თოვლიან რაიონებში. ასეთივე მდგომარეობაში არიან სხვა მთელი რიგი ფიზკულტურული კოლექტივები.

საჭიროა აფხაზეთის ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტმა იზრუნოს სათხილამურო სპორტის განვითარებისათვის.

ი. იოგიძე
ი. ცეკავაშვილი

მაყურებლის დღიურიდან

თბილისის 1952 წლის პირველობა ჭადრაკში

22 იანვარი. დღეს, მეორე ტურში, წარმატება ხვდა რესპუბლიკის 1950 წლის ჩემპიონს კოლმეურნეთა შორის, ამჟამად ზოოვეტინსტიტუტის სტუდენტ ელიოზიშვილს. ბლაგიძესთან შეხვედრაში მან დამაჯერებელ გამარჯვებას მიაღწია. როდესაც ბლაგიძემ პასიურად ითამაშა დებიუტში, ელიოზიშვილმა რამდენიმე სწორი მანევრით ცენტრში დატოვა მოწინააღმდეგის მეფე, რომელზეც პირდაპირი იერიშით მოიგო ფიგურა, 47-ე სვლაზე კი — პარტია.

ოსტატმა ებრალიძემ (თეორები) წოწოლაშვილთან საზრიანად გათამაშებულ ძველინდურ დაცვაში უპირატესობა მიიღო. შავების კონტრ-თამაშმა მეფის ფლანგზე შედეგი არ გამოიღო. კრიტიკულ მომენტში ებრალიძემ მოიგო ფიგურა და მალე პარტიაც.

აღამალიანმა ჯაკობიასთან შეხვედრაში მცდარ გეგმას მიმართა და „თამაშგარე“ მდგომარეობაში ჩააყენა თავისი ლაზიერი და მხედარი. ჯაკობიამ უმალვე ისარგებლა ამით, შეიჭრა მოწინააღმდეგის მეფის განლაგებაში და გაბა იგი საშამათო ქსელში. 38-ე სვლაზე აღამალიანმა თავი დამარცხებულად ცნო.

მაყურებელთაგან რამდენიმე კაცი ესაყვედურებდა დემონსტრატორს — სწორად არ გვიჩვენებ გაჩეჩილაძე-არნშტეინის პარტიასო. საქმეში ჩაერია მსაჯი. გამოირკვა, რომ დემონსტრატორი არაფერ შუაში არ იყო, სწორად ვერ თამაშობდნენ გაჩეჩილაძე და არნშტეინი. ჯერ გაჩეჩილაძემ ორჯერ (!) გაუშვა ხელიდან მოწინააღმდეგის დაშამათების შესაძლებლობა, ხოლო შემდეგ არნშტეინმა ვერ დაინახა ფიგურის მოგება. ბოლოს, ეს პარტია, რომელმაც მაყურებელთა დიდი მოლოდინი გამოიწვია, ყაიმით დამთავრდა.

ბუსლაევმა მშვენიერ გამარჯვებას მიაღწია ტიმოფეევთან. მან 26-ე სვლაზე ეფექტურად დააშამათა მოწინააღმდეგის მეფე.

ფიგურების მრავალგზის გაცვლის შემდეგ ყაიმზე შეთანხმდნენ კლიაცკინი-გამრეკელი და ტუგარინოვი-თამბორიძე. ვეიზერ-დავრანიანის პარტია არ გათამაშებულა.

* * *

24 იანვარი. დღეს ორი პარტია არ შედგა. საყოველთაო ყურადღება მიიპყრო ებრალიძისა და აღამალიანის შეხვედრამ, რომელიც ხასიათდებოდა დიდი შეუპოვრობით, სტრატეგიული თამაშით. აღამალიანმა მეფის ფლანგზე შეტევის განვითარების მიზნით შესწირა პიკი. პარტია გადადებულია, სადაც მოსალოდნელია მეტად საინტერესო თამაში.

მოკლე და მძაფრი ბრძოლის შემდეგ დამთავრდა დავრანიან-ელიოზიშვილის პარტია. გრიუნფელდის დაცვაში დავრანიანმა ისე სუსტად გათამაშა დამსახურებულ ოსტატ ვ. მაკაგონოვის სისტემა, რომ... მე-19 სვლაზე თავი დამარცხებულად ცნო.

წოწოლაშვილი და ბუსლაევი, რომელთაც წყნარი მანევრული თამაშით დაიწყეს შეხვედრა, მალე ცაიტნოტში აღმოჩნდნენ. გაჩაღდა ელვისებური თამაში. სწრაფად იცვლებოდა პოზიცია: უპირატესობა ხან ერთს ჰქონდა, ხან მეორეს. ბოლოს ბუსლაევმა წაგო ხარისხი. პარტია გადადებულია.

დაბალულად მიმდინარეობდა ტიმოფეევ-კლიაცკინის შეხვედრა. როდესაც კლიაცკინს მოსაგები მდგომარეობა შექმნა, ცაიტნოტში ჩავარდნილმა ტიმოფეევმა „ამღვრეულ წყალში თევზის დაჭერის იმედით“ მხედარი მეწირა. მას იმედი გაუმართლდა: კლიაცკინი აჩქარდა (თუმცა სვლების მოსაფიქრებლად საკმაოდ დიდი დრო ჰქონდა!), დაჭკარგა ორი (!) ფიგურა და დანებდა.

თამბორიძემ ჯაკობიას შესწირა პიკი, განავითარა მძლავრი შეტევა და 28-ე სვლაზე მოიგო პარტია.

დებიუტის ორიგინალურად გათამაშების და ყველა ფიგურების გაცვლის შემდეგ ბლაგიძე და ტუგარინოვი ყაიმზე შეთანხმდნენ.

ნ. ივესაშვილი

გაზეთი გამოდის ოთხშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12; დეპეშებისათვის: თბილისი „ლელო“. ტელეფონი 3-90-34.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14. УЗ 00122